გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 148

2023 წლის 11 აგვისტო

ქ. გორი

ქალაქ გორში თამარ მეფის N47-ს მიმდებარედ ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27 -„გაჩერება აკრძალულია“ დამატებითი ინფორმაციის ნიშნით (დაფა) 8.4.1-„სატვირთო ტრანსპორტისათვის“. საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის წერილი, რომლითაც ითხოვენ ქ.გორში თამარ მეფის ქ. N 47-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ მათ საპარკინგე ადგილზე, სატვირთო ავტომანქანების პარკირების აკრძალვას. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შსს შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოსთან ერთად შესწავლილი იქნა ავტოტრანსპორტის მოძრაობის საკითხი ქალაქ გორში თამარ მეფის ქ. N 47-ს მიმდებარე ტერიტორიაზე. საგზაო მოძრაობის გაუმჯობესებისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში თამარ მეფის #47-ის მიმდებარედ დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27 -„გაჩერება აკრძალულია“ დამატებითი ინფორმაციის ნიშნით (დაფა) 8.4.1-„სატვირთო ტრანსპორტისათვის..

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში თამარ მეფის N47-ის მიმდებარედ დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27 -„გაჩერება აკრძალულია“ დამატებითი ინფორმაციის ნიშნით (დაფა) 8.4.1-„სატვირთო ტრანსპორტისათვის“.
2. ამ განკარგულების თანახმად, დაევალოს გორის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი ღონისძიებების განახორციელება.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**